ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №4

27.12.2021 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
09:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
4. ალექსანდრე ხუჯაძე - კომისიის წევრი;
5. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
6. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი.

კომისიის სხდომას ასევე ესწრებოდა საკრებულოს წევრი ალექსანდრე რატიშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“, საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03213573-03; 22.12.2021);
2. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03213142-03; 10.11.2021);

3. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის ,,საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისათვის“ შესახებ პროექტის ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-03213563-03; 21.12.2021);
4. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0321355186-03; 21.12.2021);
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0321355186-03; 21.12.2021);
6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **შალვა ოგბაიძე.**

მომხსენებლები:

- **ვიქტორ წილოსანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსი;

- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე;

- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე;

შ.ოგბაიძე - მომხსენებელს ვთხოვ, წარმოგვიდგინოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“, საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03213573-03; 22.12.2021):**

ვ.აბულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსებით (M_2 და M_3 კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, აგრეთვე საქართველოს დედაქალაქში ტურისტთა მზარდი ნაკადის გათვალისწინებით დღის წესრიგში დადგა საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ მგზავრობის ტარიფის/ფასის გადახდა, გარდა დღეის მდგომარეობით მოქმედი სამგზავრო პლასტიკური ბარათის და გადახდის სხვა საშუალებისა, ასევე განხორციელდეს ვადიანი სამგზავრო ბარათებით. ამასთან, მგზავრთა გადაყვანის საქმეში ინერგება გადახდის ახალი სისტემა.

ვადიანი სამგზავრო ბარათის ღირებულება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსებით (M_2 და M_3 კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას, დროის მონაკვეთის მიხედვით, დადგინდება შემდეგი ოდენობით:

ა) 1 დღე - 3 ლარი (გადახდის მომენტიდან მომდევნო 24 საათის განმავლობაში);

ბ) 1 კვირა - 20 ლარი (გადახდის მომენტიდან მომდევნო 6 კალენდარული დღის განმავლობაში);

გ) 1 თვე - 40 ლარი (გადახდის მომენტიდან შემდეგი თვის შესაბამისი რიცხვის ჩათვლით);
დ) 3 თვე - 100 ლარი (გადახდის მომენტიდან მომდევნო 91 კალენდარული დღის განმავლობაში);
ე) 6 თვე - 150 ლარი (გადახდის მომენტიდან მომდევნო 182 კალენდარული დღის განმავლობაში);
ვ) 1 წელი - 250 ლარი (გადახდის მომენტიდან შემდეგი წლის შესაბამის კალენდარულ დღემდე).

აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, მოქალაქეებს შესაბამისი თანხის გადახდის შედეგად, საშუალება ექნებათ შეიძინონ ვადიანი სამგზავრო ბარათი, გარდა დღეს არსებული გადახდის საშუალებებისა. ვადიანი სამგზავრო ბარათის შეძენის შემთხვევაში მის მფლობელს საშუალება ექნება დღის განმავლობაში ყველა სახის ტრანსპორტით ჯამში იმგზავროს 20-ჯერ, დროის იმ მონაკვეთში რა ვადითაც ექნება შეძენილი აღნიშნული ბარათი

დადგენილების პროექტით, ვადიანი სამგზავრო ბარათების **რეალიზაცია** დაიწყება 2022 წლის **პირველი იანვრიდან,** ხოლო ბარათებით სარგებლობა - 2022 წლის **პირველი თებერვლიდან.**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით კითხვები დასვეს სალომე კობალაძემ და ალექსანდრე რატიშვილმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 1), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“, საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03213573-03; 22.12.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. **„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03213142-03; 10.11.2021):**

ვ.აბულაძე - „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილების მე-3 მუხლით დადგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების საფასურები: პირველი პუნქტით - დროის მონაკვეთების (1 კვირა - 4 ლარი, 6 თვე - 25 ლარი, 1 წელი - 50 ლარი) მიხედვით, ხოლო მე-2 პუნქტით - ზონების მიხედვით. ზონალური პარკირების თანამედროვე სისტემების დანერგვის შემდგომი სრულყოფის მიზნით, ამასთან სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნებისა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ასევე დადგინდეს სატრანსპორტო საშუალების ზონალური პარკირების საფასური დროის მონაკვეთების მიხედვით. რაც გულისხმობს იმას, რომ ზონალური პარკირების საფასურის დროის მონაკვეთის მიხედვით გადახდის შემთხვევაში (1 დღე - 20 ლარი, 1 კვირა - 100 ლარი, 1 თვე - 300 ლარი, 6 თვე - 500 ლარი, 1 წელი - 800 ლარი) აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების დგომა იმავე ვადით თავისუფლდება, მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი დროის და ზონის მიხედვით, დადგენილი პარკირების საფასურების გადახდისაგან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03213142-03; 10.11.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისათვის“ შესახებ პროექტის ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-03213563-03; 21.12.2021):**

დ.ჯაიანი - საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის“ (შემდგომში - პროექტი) ფარგლებში, 2021 წლის 10 დეკემბერს ხელი მოეწერა სასესხო ხელშეკრულებას 101,000,000 (ას ერთი მილიონი) ევროს ოდენობით. სესხი მიზნად ისახავს, საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებასა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას საქართველოს მასშტაბით, მათ შორის, თბილისში, შემდეგი მიმართულებით - ინკლუზიური და კლიმატის ცვლილებისადმი მედეგი ურბანული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროების, ასევე, საქართველოს ტურისტულ კლასტერებში ხელმისაწვდომობის, შეკავშირებულობისა და მობილობის გაუმჯობესება და მდგრადი ურბანული და რეგიონალური განვითარებისათვის ინსტიტუციური შესაძლობლებების გაძლიერება.

სესხის ხელშეკრულების პარალელურად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის ხელი მოეწერება საპროექტო ხელშეკრულებას, რომელიც განსაზღვრავს პროექტისა და შესაბამისი ქვეპროექტების განხორციელებისათვის მხარეთა ვალდებულებებს.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის ოდენობა მოხმარდება პროექტით იდენტიფიცირებული ქვეპროექტების დაფინანსებას, მათ შორის, თბილისის მუნიციპალიტეტში. თბილისის მუნიციპალიტეტი, ქალაქ თბილისის მერიისა და ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის მეშვეობით, პასუხისმგებელი იქნება პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაზე, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის განისაზღვრება პროექტის ხელშეკრულების საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი და თბილისის განვითარების ფონდი, პროექტს განახორციელებენ იმ გეგმების, საპროექტო სტანდარტების, სპეციფიკაციების და სამუშაო განრიგის შესაბამისად, რომელიც დამაკმაყოფილებელი იქნება აზიის განვითარების ბანკისათვის. საპროექტო ხელშეკრულება ძალაში შევა სასესხო ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღეს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 1), კომისიამ დაადგინა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის ,,საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისათვის“ შესახებ პროექტის ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-03213563-03; 21.12.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0321355186-03; 21.12.2021):

დ.ჯაიანი - უნდა აღინიშნოს, რომ მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მინიჭებული აქვს უფლებამოსილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - განკარგულებით (შესაბამისი შეზღუდული ვადით), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, განახორციელოს მარშრუტების კორექტირება ან განსაზღვროს დროებითი მარშრუტი/მარშრუტები ან განახორციელოს ცვლილება მარშრუტზე ჩართული ავტობუსების რაოდენობაში.

ზ/ა გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, დროებითი ღონისძიების სახით ამოქმედებულ იქნა M_2 კატეგორიის ავტობუსების მარშრუტები, კერძოდ:

ლოტი #4-ის ფარგლებში ამოქმედდა 5 მარშრუტი (N421, N441, N443, N446, N494).
ლოტი #5-ის ფარგლებში ამოქმედდა ერთი - N454 მარშრუტი.
განხორციელებული ცვლილებებით, სხვადასხვა მარშრუტებზე ჩართული ავტობუსების მაქსიმალური რაოდენობები განისაზღვრა: ლოტი #4-ზე - 122 ერთეულით, ლოტი #5-ზე - 103 ერთეულით.

ამასთან, ზოგიერთი ახალი მარშრუტის ამოქმედებამ გამოიწვია უკვე არსებული მარშრუტების სრული გადაფარვა, რის გამოც, საჭირო გახდა მათი დანართი 1-დან ამოღება. ასევე, ცვლილებები შევიდა დანართი 1-ში მარშრუტების მაქსიმალურ რაოდენობებში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0321355186-03; 21.12.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0321355186-03; 21.12.2021):**

დ. ჯაიანი - თბილისის საკრებულოში შემოსულია საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს ლოტი №4-დან №104 მარშრუტის, ლოტი №5-დან №54 მარშრუტის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის

რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 1), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0321355186-03; 21.12.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ:**

შ.ოგბაიძე - საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურების მიხედვით, კომისიამ კომისიის წევრთაგან უნდა განსაზღვროს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი. მოცემულ პოზიციაზე წარმოგიდგენთ გურამ ოქროპირიძის კანდიდატურას.

კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი კანდიდატურა და გურამ ოქროპირიძე განსაზღვრული იქნა, როგორც თბილისის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე